



ევროკომისია

ევროკავშირის საგარეო საქმეთა და
უსაფრთხოების პოლიტიკის
უმაღლესი წარმომადგენელი

ბრიუსელი, 7 თებერვალი 2020
6.2.2020 SWD(2020) 30

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი
ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების პროცესის განხორციელების შესახებ

ანგარიში საქართველოს მიერ ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

შესახებ

1. წინასიტყვაობა

განახლებული „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის“ შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში განხილულია საქართველოს მიერ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ანგარიში ასახავს პერიოდს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს 2019 წლის 5 მარტის სხდომიდან საბჭოს მორიგ სხდომამდე, რომელიც 2020 წელს გაიმართება. ეს ანგარიში ასოცირების დღის წესრიგის გადახედვის საფუძველს წარმოადგენს.

საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მტკიცე ვალდებულებას მოსახლეობის 78%¹ მხარს უჭერს და იგი კვლავ პრიორიტეტულია. ევროკავშირი საქართველოს რეგიონში მთავარ პარტნიორად მიიჩნევს და განაგრძობს მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრულ მხარდაჭერას ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. საქართველო აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი სტრუქტურის ერთგული მიმდევარი და მონაწილეა. აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავის აღსანიშნავად, პრეზიდენტ იუნკერის მიერ ამ ინიციატივის მომავლის შესახებ სტრუქტურირებული კონსულტაციების კონტექსტში, საქართველომ მომავალი პოლიტიკის ჩარჩოსთან დაკავშირებული მოლოდინების ამსახველი მოსაზრებები წარმოადგინა. შესაბამისი საკონსულტაციო ღონისძიება 2019 წლის 16 და 17 სექტემბერს თბილისში გაიმართა.

2019 წელი დიდი პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდა, ჩატარდა შუალედური არჩევნები პარლამენტში ერთი მანდატის მოსაპოვებლად და ხუთ ქალაქში მერის თანამდებობის დასაკავებლად, ზაფხულიდან მოყოლებული მიმდინარეობდა მასშტაბური საზოგადოებრივი საპროტესტო გამოსვლები და გაიმართა საკმაოდ ინტენსიური საპარლამენტო საშემოდგომო სესია დემოკრატიულ კონსოლიდაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კანონმდებლობის მისაღებად².

მედიაგარემო მნიშვნელოვნად შეიცვალა ივლისში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECHR)

¹ https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20July%202019%20poll-Issues_ENG_For%20distribution_VF.pdf

² უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნა, სასამართლო რეფორმების მეოთხე ტალღა, შეწყვეტილი საკონსტიტუციო რეფორმა 2020 წლის პროპორციული საარჩევნო სისტემის დასაანერგად, საარჩევნო რეფორმა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების გასათვალისწინებლად)

გადაწყვეტილების შემდეგ. შეიქმნა ახალი მედია არხები და პროკურატურამ დაიწყო საქმეების გამოძიება, რომელშიც ზოგიერთი მედიასაშუალებების მფლობელები / მენეჯერები ფიგურირებდნენ.

სამოქალაქო საზოგადოება ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების მონიტორინგში და ასევე საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების საკითხში კვლავ ძალიან აქტიურად იყო ჩართული. გარკვეულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის დამაბულობა გრძელდებოდა; მიმდინარეობს გამოძიება 2019 წლის ივნისის პროტესტების მონაწილეთა წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შენგენის და შენგენის ასოცირებულ ქვეყნებში მოკლევადიანი მოგზაურობისთვის უფიზო რეჟიმი მოქმედებს და მისი ძალაში შესვლის დღიდან საქართველოს მოქალაქეების მიერ თითქმის 900. 000 ვიზიტი განხორციელდა. ამასთან, 2019 წლის განმავლობაში ევროკავშირის / შენგენის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნების რაოდენობა მაღალი დარჩა; იგი 2018 და 2017 წლებში თავშესაფრის მოთხოვნათა მთლიან რაოდენობას აღემატებოდა და საქართველოს მოქალაქეების რიცხვი ევროკავშირში საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ერთ-ერთი წამყვანია. საქართველო თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნათა გაზრდილ რაოდენობასთან დაკავშირებული გამოწვევის პროაქტიულად გადაჭრას განაგრძობს.

მაკროეკონომიკური პერსპექტივა სტაბილური რჩებოდა დადმავალი რისკების შემცველობით. 2019 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეკონომიკის ზრდის ტემპი შარშანდელთან შედარებით 4.5%-ს აღემატებოდა, მაგრამ იგი კვლავ მოწყვლადი რჩება გარეგანი მოვლენებით განპირობებული ზეგამვლენი ეფექტების მიმართ, როგორც არის გლობალურ ვაჭრობაში მზარდი დამაბულობა, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების (მაგალითად, თურქეთის) ეკონომიკური მაჩვენებლები და ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა.

ბიზნეს გარემოს საერთაშორისო რეიტინგში საქართველოს კარგი მაჩვენებლები აქვს. ამასთან, გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებასთან, სამართლებრივ დასაბუთებასთან და მიმდინარე გამოძიებებთან დაკავშირებით, რომელიც მსხვილ ბიზნესს (მათ შორის თიბისი ბანკს) მოიცავს.

2019 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 1.3 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც 2018 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 4%-ით შემცირდა. ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში სტაბილური დარჩა 1,7 მილიარდი ევროს დონეზე (0.7% -ით

ნაკლები 2018 წლის პირველ ათ თვესთან შედარებით), ხოლო ევროკავშირის იმპორტი საქართველოდან 15% -ით, 475 მილიონ ევრომდე შემცირდა.

2019 წლის იანვარში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) საინვესტიციო სამოქმედო გეგმა, რომელიც საქართველოსთვის 3.4 მილიარდი ევროს ღირებულების 18 პრიორიტეტულ პროექტს განსაზღვრავს.

დაიწყო 2018 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში თანხების (134 მილიონი ევრო) გამოყოფა. ევროკავშირის მხარდაჭერა კვლავ მიმართულია ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე, მათ შორის ერაზმუს+ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის გაზრდასა და ასევე სტრატეგიულ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ ქმედებებზე. ეკონომიკური მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების ახალი პროგრამა საქართველოს სისტემას ევროკავშირის ეკონომიკური მართვის მოდელთან დაახლოვებს, მაშინ როდესაც უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულების და დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი პროგრამა კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს. გარდა ამისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2019 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის თანხების გამოყოფის თაობაზე (127 მილიონი ევრო).

2. პოლიტიკური დიალოგი, კარგი მმართველობა და ინსტიტუტების გაძლიერება

2.1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კარგი მმართველობა

საანგარიშო პერიოდში ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი მოვლენები ხდებოდა. ერთი საპარლამენტო მანდატის მოსაპოვებლად და ხუთ ქალაქში მერის თანამდებობის დასაკავებლად მაისში შუალედური არჩევნები ჩატარდა. ინტენსიური კამპანიის შემდეგ, მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ ყველა ზემოხსენებული ადგილი მოიპოვა. „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში ძლიერი უმრავლესობა შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დეპუტატის მიერ პარტიის დატოვების შემდეგ იგი 2016 წლიდან პირველად კონსტიტუციური უმრავლესობის გარეშე დარჩა.

20 ივნისს, საქართველოს პარლამენტის სხდომაზე რუსეთის სახელმწიფო დუმის წევრმა, მართლმადიდებლობის საპარლამენტაშორისო ასამბლეის თავჯდომარემ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარის სავარძელი დაიკავა. იგი მოწვეული იყო პარტია "ქართული ოცნების" წევრების მიერ. ამ მოვლენას საპასუხო რეაქციად ანტი-სამთავრობო საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. დემონსტრაციები პოლიციამ ცრემლსადენი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენებით დაარბია, რამაც მძიმე დაზიანებები გამოიწვია და შემდეგი თვეების განმავლობაში მომდევნო დემონსტრაციები განაპირობა. დაიწყო ორი გამოძიება, ერთი - დემონსტრანტების

წინააღმდეგ ჯგუფური ძალადობის ბრალდებით, ხოლო მეორე კი - პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენების გადაჭარბებასთან დაკავშირებით.

პროტესტების საპასუხოდ, პარლამენტის თავმჯდომარემ თანამდებობა დატოვა და „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო ცვლილების წინადადება შემოიტანა, რომლის მიხედვითაც სრულად პროპორციული არჩევნები უნდა ჩატარებულიყო უკვე 2020 წელს 2024-ის ნაცვლად, როგორც ეს თავდაპირველად კონსტიტუციით იყო გათვალისწინებული. 2 სექტემბერს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე თანამდებობიდან გადადგა და მის თანამდებობაზე შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი გიორგი გახარია დაინიშნა. „ქართული ოცნების“ შეთავაზებით 2020 წლისთვის პარლამენტში მოსახვედრად გადასალახი ბარიერი ნულოვანი უნდა გამხდარიყო (*დე-ფაქტო* მიღებული ხმების 0.67% ბარიერი) არსებული 3%-ის ნაცვლად. 14 ნოემბერს პარლამენტის კენჭისყრაზე საკონსტიტუციო ცვლილებების კანონპროექტის ჩავარდნამ შემდგომი პოლიტიკური არასტაბილურობა და ქუჩაში გამართული პროტესტები გამოიწვია. საარჩევნო რეფორმის პროცესი შეჩერებულია. ჩიხიდან გამოსასვლელი გზის მოსაძიებლად და არჩევნების წინ შემდგომი ნაბიჯების შესათანხმებლად პოლიტიკური დიალოგის შეხვედრები გაიმართა.

გრძელდებოდა გამოძიება თიბისი ბანკის ორი თანადადამფუძნებლის მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. ზაფხულში პროკურატურამ მათ თერთმეტი წლის წინათ ფულის სავარაუდო გათეთრებასთან დაკავშირებით ბრალი წაუყენა. ამავე ტრანზაქციასთან დაკავშირებული ბრალდება ასევე ტელეკომპანია „პირველის“ მფლობელის მამას, ბ-ნ ვახტანგ წერეთელს წაუყენეს. სექტემბერში ხაზარაძემ და ჯაფარიძემ სამოქალაქო მოძრაობა „ლელო“ დააფუძნეს, რომელიც დეკემბერში პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნა.

საქართველოს მედიაგარემო პოლარიზებული დარჩა და არსებითი ცვლილებები განიცადა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს „რუსთავი 2“-ის საქმეზე ივლისში გამოქვეყნებული გადაწყვეტილების გამო³. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააუქმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება და არხი თავის წინა მფლობელს დაუბრუნდა, რამაც მენეჯმენტისა და პერსონალის ფართომასშტაბიანი ცვლილებები გამოიწვია. სექტემბრისთვის, ჟურნალისტების ნაწილი „რუსთავი 2“-ის ყოფილი დირექტორის მიერ შექმნილ ახალ სატელევიზიო „მთავარ არხზე“ სამუშაოდ გადავიდა. დეკემბერში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საჩივარი მიღებული

³ [https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{"itemid":\["003-6464450-8514363"\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng-press#{)

გადაწყვეტილების გადასინჯვასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა, რითაც ამ საქმეზე სამართლებრივი დავა, არხის საკუთრების დადასტურებული ცვლილებით, საბოლოოდ დასრულდა. სექტემბერში ტელეკომპანია "ევრონიუს საქართველო" დაფუძნდა (მისი ეთერში გასვლა დაგეგმილია 2020 წლის ზაფხულამდე) და ოქტომბერში "ფორმულა TV-მ" დაიწყო მაუწყებლობა. საქართველომ 2019 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსის⁴ მაჩვენებელი ერთი პოზიციით გააუმჯობესა და 180 ქვეყნიდან 60-ე ადგილზეა. თავისუფლების სახლის (Freedom House) რეიტინგი სტაბილური დარჩა, 63/100⁵ მაჩვენებლით.

სამოქალაქო საზოგადოება კვლავ ძალიან აქტიურად იყო ჩართული ასოციაციების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგში, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ჩათვლით. ამასთანავე, თუმცა იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკის ფორმულირებასა და მთავრობის მეთვალყურეობის საკითხში, მათ შორის, ადგილობრივ დონეზე, მთავრობასთან და პარლამენტთან მისი ურთიერთობის ფორმალური მექანიზმები არ არსებობს. ასევე, საჭიროა ნდობის აღდგენა გარკვეულ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის 2018 წლის უთანხმოების შემდეგ.

სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად აგრძელებდა თავისი სამეთვალყურეო როლის შესრულებას.

ქალთა უფლებების გაუმჯობესებული გაგებისა და ცნობიერების ამაღლების შედეგად გაიზარდა გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევების შესახებ პოლიციაში განცხადებების რაოდენობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკის ქალების მხრიდან. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გაცემული შემაკავებელი ორდერების რაოდენობა 2017 წლიდან 2018 წლამდე 75%-ით გაიზარდა, ხოლო მსჯავრდებულთა რაოდენობა იმავე პერიოდში 65%-ით გაიზარდა. 2019 წელს მოიხსნა მოთხოვნა, რომლის შესაბამისად ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს თავშესაფარში მოსახვედრად სასამართლო გადაწყვეტილება სჭირდებოდათ.

რაც შეეხება **გენდერულ თანასწორობას**, საქართველოს 2018 წლის ქალებისა და მამაკაცების უთანასწორობის გლობალური ინდექსის მაჩვენებელი 68% იყო, რაც მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია; საქართველო 149 ქვეყნიდან 99-ე ადგილზეა⁶. ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მხრივ საქართველომ 119-ე ადგილი დაიკავა (ასევე 149 ქვეყნიდან). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში

⁴ <https://rsf.org/en/ranking>

⁵ <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2018/georgia>

⁶ http://www3.weforum.org/docs/WEF_GGGR_2018.pdf

ქალი პარლამენტარების რიცხვი იზრდებოდა, ამისდა მიუხედავად, 2019 წელს პარლამენტის წევრი ქალების რაოდენობა მხოლოდ 15%-ს შეადგენს. ქალები ასევე ნაკლებად არიან წარმოდგენილები როგორც ადგილობრივ მმართველობაში, ასევე მთავრობის აღმასრულებელ შტოებში. 2018 წელს ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობის მაჩვენებლით საქართველომ 85-ე ადგილი დაიკავა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მონაცემების შესაბამისად, ქალთა საშუალო ხელფასი მამაკაცთა ხელფასის მხოლოდ 64% -ს შეადგენდა⁷.

მაისში შრომის კოდექსსა და რიგ სხვა კანონებში შეტანილ იქნა ცვლილებები, მათ შორის განიმარტა სექსუალური შევიწროება, როგორც სამუშაო ადგილზე უკანონო დისკრიმინაციის ფორმა და საზოგადოებრივ ადგილებში სექსუალური შევიწროებისთვის ადმინისტრაციული ჯარიმა დაწესდა. სახალხო დამცველს დაევალა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების ბრალდებების შემოწმება და მისი რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოში გადაგზავნა. ეროვნულ პოლიტიკაში გენდერული ინტეგრაციისთვის მთავრობის ძალისხმევა ასევე მიმართული იყო ცნობიერების ამაღლებისა და სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობების გასაძლიერებლად. ამასთან, საკვანძო სამთავრობო ორგანოს, გენდერული თანასწორობის უწყებათაშორის კომისიას სათანადო ადმინისტრაციული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად დამატებითი პერსონალი არ მიუღია. მისი თავმჯდომარე 2019 წლის აპრილში გადადგა და ეს თანამდებობა კვლავ ვაკანტური რჩება.

მაისში შეტანილ იქნა ცვლილებები **დისკრიმინაციის** ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონში, რომელიც მიზნად კანონის აღსრულების გაუმჯობესებას ისახავდა. ამის მიუხედავად, მაინც ხდებოდა დისკრიმინაციის ინციდენტები ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინეტერსექს (ლგბტი+) პირთა შრომის, ჯანდაცვის, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში. მცირე და სიმბოლური ღირსების მარში (Pride march) შინაგან საქმეთა სამინისტროს წინ 8 ივლისს გაიმართა, მას შემდეგ, რაც ვერ მოხდა ხელისუფლებასთან შეთანხმება სხვა ადგილზე მის გამართვასთან დაკავშირებით. რადიკალურმა მემარჯვენე ჯგუფებმა ღირსების მარშის მონაწილეებზე 'ნადირობისკენ' მათი დაკავების მიზნით მოუწოდეს. წამქეზებლების წინააღმდეგ ჩატარებულ გამოძიებებს შედეგი აქამდე არ მოუტანია.

სექტემბერში საქართველომ მიიღო **ბავშვთა უფლებების კოდექსი**, რომელიც 2020 წლის 1 ივნისს სრულად შედის ძალაში. ამ კომპლექსურ დოკუმენტში მოცემულია სამართლებრივი საფუძვლები, უსაფრთხოების ზომები და გარანტიები ბავშვთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი პრინციპების, მისი უფლებებისა და

⁷ საქსტატი <https://www.geostat.ge/en/modules/categories/39/wages>

თავისუფლებების დასაცავად. გარდა ამისა, იგი უზრუნველყოფს იურიდიულ გარანტიებს იმისთვის, რომ ბავშვმა საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად გამოიყენოს და დაიცვას.

ჩვილების (და დედების) სიკვდილიანობის მაჩვენებლები კვლავ მაღალია. მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფების ბავშვთა კვების სტატუსში. ბავშვთა სიღარიბე კვლავ მაღალია. ყოველი მეხუთე ბავშვი ცხოვრობს ოჯახში, სადაც ძირითადი საჭიროებები არ კმაყოფილდება. 2019 წლის იანვრიდან მთავრობამ ბავშვების ყოველთვიური დახმარება 10-დან 50 ლარამდე გაზარდა და ბავშვებისთვის სასურსათო ვაუჩერები ("კვების ბარათები") შემოიღო. მთლიანობაში, ბავშვთა დაახლოებით მეოთხედი საბავშვო ბაღებში არ დადის, განსაკუთრებით კი ბავშვები, რომლებიც სოციალურად დაუცველ და მარგინალურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან.⁸

არ დასრულებულა ბავშვებზე ზრუნვის დეინსტიტუციონალიზაცია; ჯერ კიდევ მოქმედებს ორი დიდი სახელმწიფო დაწესებულება სადაც მძიმე და სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაახლოებით 80 ბავშვი ცხოვრობს. 900 – ზე მეტი ბავშვი ცხოვრობს 38 არარეგულირებულ დაწესებულებაში, ძირითადად პანსიონატებში, რომელთაც აფინანსებენ და მართავენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მუსლიმთა თემები. 2019 წელს მთავრობამ სახელმწიფო რეგულაციების და სტანდარტების ამ დაწესებულებებზე გავრცელება დაიწყო. 2019 წლის მარტში სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკების გაფიცვის საპასუხოდ, მთავრობა სოციალური მუშაკების შესაძლებლობების გაფართოებისა და საქმეთა ხარისხიანი მართვისთვის ინვესტიციების გაზრდაზე დათანხმდა და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ უწყებათაშორისი მიდგომა დანერგა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის განხორციელების ხელშესაწყობად ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე მულტიდისციპლინარული თანამშრომლობის მექანიზმი შეიქმნა, რომელიც პროკურორებს, პოლიციის თანამშრომლებს, იურისტებს, სოციალურ მუშაკებს და ფსიქოლოგებს აერთიანებს. მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვებზე მორგებული ახლებური მიდგომა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული.

რაც შეეხება **არასათანადო მოპყრობას**, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმა 2019-2020 წლებისათვის მათში იყო მიღებული.

იანვრისთვის დაგეგმილი გამოძიების დამოუკიდებელი უფლებამოსილებების სახელმწიფო ინსპექტორატისადმი გადაცემა 1 ნოემბერს მოხდა, ბიუჯეტიდან

⁸ ქვეყნის გენდერული შეფასება - საქართველო (ADB, 2018).

არასაკმარისი სახსრების გამოყოფის გამო. ახალი უფლებამოსილებები მოიცავს მონაცემთა დაცვას და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას. კვლავ მიმდინარეობს გამოძიება 2017 წლის მაისში საქართველოს ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მოქალაქის და ადამიანის უფლებათა დამცველის გატაცების და აზერბაიჯანისთვის მისი უკანონოდ გადაცემის ფართოდ გაშუქებულ საქმეზე.

ევროსაბჭოს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიერ პერიოდული შეფასება, ზოგადად, დამაკმაყოფილებელი იყო, მაგრამ მან გამოავლინა ხარვეზები ფსიქიატრიულ დაწესებულებებთან მიმართებაში, გარკვეულ ციხეებში პატიმრებს შორის არაფორმალური იერარქიის არსებობასა და საკნებს გარეთ დაუსაქმებლობასთან დაკავშირებით⁹.

იენისში, მთავრობამ მიიღო 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა 2020 წლისთვის *საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმის* საგზაო რუკის განსახორციელებლად. წლის განმავლობაში მიღებულ იქნა საჯარო სამსახურის შესახებ კანონის განხორციელებისთვის საჭირო კანონქვემდებარე აქტები. ყველა საჯარო მოხელისთვის ახალი კლასიფიკაციისა და ანაზღაურების სისტემები დაინერგა; შესრულებული სამუშაოს შეფასებაზე დაფუძნებული ახალი მიდგომა, რომელიც საკვანძო სამინისტროებში აპრობირდა, ყველა დაწესებულებაზე გავრცელდება. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული და ინსტიტუციური პირობების უმეტესობა არსებობს, ზოგიერთ სამინისტროში რეფორმის შესრულება ჯერ კიდევ არასრულია.

2.2. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

საქართველო ევროკავშირის მხრიდან მისაერთებლად შემოთავაზებული 55 დეკლარაციიდან და საბჭოს გადაწყვეტილებებიდან 37-ს მიუერთდა (წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით - 56%, წლებიდან მონაცემი - 61%, უფრო მაღალია). საქართველო კვლავ მონაწილეობდა სამოქალაქო და სამხედრო კრიზისების მართვის ოპერაციებში *საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის* (CSDP) ფარგლებში და გააგზავნა 32 სამხედრო ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში (EUTM) ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში და ერთი ოფიცერი ევროკავშირის სამხედრო საწვრთნელ მისიაში მალიში.

კანონი, რომლის საფუძველზე შეიქმნა ახალი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, პრემიერ-მინისტრის სათაბირო ორგანო, ძალაში 8 აპრილს შევიდა.

25 ოქტომბერს გამართულ საქართველო-ევროკავშირის უსაფრთხოების საკითხებზე სტრატეგიული დიალოგის მაღალი დონის მესამე შეხვედრაზე

⁹ წამების პრევენციის კომიტეტის ანგარიში 2018 წლის სექტემბრის ვიზიტზე (მაისი, 2019); <https://rm.coe.int/1680945eca>

მხარეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საერთო ძლიერი ინტერესი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით, ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

27 ნოემბრიდან საქართველო 6 თვის ვადით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს პირველად უხელმძღვანელებს.

რაც შეეხება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, საქართველო აგრძელებდა ისლამური სახელმწიფოს (ISIS) წინააღმდეგ გლობალური კოალიციის მხარდაჭერას. იანვარში მან 2019 - 2021 წლებისთვის ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია მიიღო. საქართველო კვლავ მასპინძლობს ევროკავშირის ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკების შემცირების რვა ცენტრიდან ერთს და ევროკავშირს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი ინვესტირება განახორციელოს მის სამეზობლოში არსებულ პარტნიორ ქვეყნებში, ასევე სხვა ქვეყნებშიც ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული რისკებისადმი მზადყოფნის თვალსაზრისით.

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საკითხი - 2019 წლის განმავლობაში ადგილზე არსებული ვითარება გაუარესდა. სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხარებული რეგიონის დე-ფაქტო ხელისუფლებამ რუსეთის მესაზღვრეების მხარდაჭერით "ბორდერიზაციასთან" დაკავშირებული ქმედებები გააძლიერა და ადმინისტრაციულ საზღვარსა და თბილისის მიერ ადმინისტრირებულ ტერიტორიას შორის კონტროლირებადი გამშვები პუნქტები მრავალჯერ დახურა. ამან გამოიწვია ადამიანებისთვის დამატებითი სირთულეები და ასევე ინციდენტები, რომელიც მოიცავდა დაკავებებს და სათანადო სამედიცინო მომსახურების მიუწვდომობით გამოწვეულ სიკვდილებს. გარდა ამისა, 2019 წლის აგვისტოდან სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონთან ადმინისტრაციულ საზღვარზე ჩორჩანა-წნელისის რაიონში უსაფრთხოებისთვის სერიოზული გამოწვევები წარმოიქმნა.

ევროკავშირი კვლავ სრულ მხარდაჭერას უწევს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. იგი ასევე აქტიური ფინანსური მხარდაჭერის საშუალებით და სამხრეთი კავკასიისა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით ხელს უწყობს კონფლიქტების მოგვარების მცდელობებს. საქართველო კვლავ ჩართული იყო ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში.

რაც შეეხება შეხვედრებს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM)¹⁰ ფარგლებში, 2019 წელს მხოლოდ ერგნეთის შეხვედრები ჩატარდა. მექანიზმმა განაგრძო მოქმედება, როგორც მნიშვნელოვანმა ფორუმმა დაძაბულობის შესამსუბუქებლად, განსაკუთრებით აგვისტო-სექტემბერში, სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რეგიონში დაძაბულობის ესკალაციის დროს. გალის შეხვედრები ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში არ ჩატარებულა.

მთავრობამ დაიწყო საკუთარი ინიციატივის "ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" განხორციელება, რათა ხელი შეუწყოს მშვიდობას და ასევე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებთათვის შექმნას ახალი შესაძლებლობები, მათ შორის, ინიციატივის მხარდასაჭერად ფონდის დაფუძნების საშუალებით. უნარების განვითარებაზე მიმართული ევროკავშირის დახმარება (არაფორმალური სწავლება, პროფესიული განათლება და ტრენინგები) აფხაზეთზეც ვრცელდება.

საქართველო განაგრძობდა თანამშრომლობას **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან** 2008 წლის 1 ივლისსა და 10 ოქტომბერს შორის პერიოდში სამხრეთ ოსეთში და მის მახლობლად განლაგებული ყველა შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებების ბრალდებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში.

2.3 მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება

სასამართლო სისტემის რეფორმირების მცდელობები მიმართული იყო უზენაესი სასამართლოს ახალი მოსამართლეების დანიშვნასა და რეფორმების მეოთხე ტალღის ჩამოყალიბებაზე. მარტში პარლამენტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებები დაამტკიცა, რომელიც შერჩევის აუცილებელ კრიტერიუმებს განსაზღვრავდა, მაგრამ ისინი ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდა. გაიზარდა ხარვეზები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეთა წარდგენის პროცესში, რაც ასევე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/OIDHR) გამოავლინა. 12 დეკემბერს, პარლამენტმა უვადოდ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის 14 კანდიდატი. მთლიანმა პროცესმა სათანადო გამჭვირვალობა და დამსახურების საფუძველზე არჩევა ვერ უზრუნველყო.

¹⁰ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია ადგილობრივი უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებლად და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ხელშესაწყობად.

სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღასთან დაკავშირებული ცვლილებები საბოლოოდ დასრულდა და პარლამენტმა ისინი დეკემბერში მიიღო. ეს ცვლილებები შემდეგ სამ მნიშვნელოვან სფეროს აუმაჯობებს: დისციპლინური დარღვევები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირების რეგულირება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვალდებულებას - დაასაბუთოს ყველა გადაწყვეტილება. იუსტიციის სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა დაასრულა, მაგრამ ისინი პარლამენტს ჯერ არ მიუღია.

2019 წელს *პროკურატურის რეფორმების* ძირითადი ყურადღება გამომძიებლებსა და პროკურორებს შორის ფუნქციების გამიჯვნაზე გამახვილდა, რათა აქამდე არსებული მნიშვნელოვანი გადაფარვა როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკულ დონეზე აცილებული ყოფილიყო. მარტში ვენეციის კომისიამ პროკურორებისგან გამომძიებლებისათვის უფლებამოსილების გადაცემის მოსამზადებლად რეკომენდაციები გამოაქვეყნა.

იუსტიციის სამინისტრომ თებერვალში დანაშაულის პრევენციისა და *სასჯელადსრულების* პირველი კომპლექსური სტრატეგია წარმოადგინა.

იურიდიულ თანამშრომლობას სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებთან მიმართებაში, ევროკავშირის სამართლებრივი თანამშრომლობის სააგენტოსთან (Eurojust) თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ივლისში ძალაში შევა, რაც ინფორმაციის და მტკიცებულებების სწრაფ და უსაფრთხო გაცვლას აამოქმედებს. სერიოზული და ორგანიზებული ტრანსსასაზღვრო დანაშაულებრივი ქმედებების წინააღმდეგ თანამშრომლობის გასაღრმავებლად საქართველომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში პოლიციის ატაშეების ქსელი და ევროპის პოლიციის სამსახურთან (Europol) საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობა გააძლიერა.

კორუფციის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლას რაც შეეხება, საქართველომ ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად განაგრძო. ივლისში ანტიკორუფციულმა საბჭომ მიიღო ახალი ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2019 - 2020 წლებისთვის. შედეგები საერთაშორისო რეიტინგებში აისახა, თუმცა მაღალი დონის კორუფციასთან დაკავშირებით¹¹ გარკვეული შემფოთება არსებობს. 2018 წლის საერთაშორისო გამჭვირვალობის (Transparency International) კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, საქართველოს მაჩვენებელია 58/100 (2017 წელს - 56/100). 2018 წლის

¹¹ 2019 წლის სექტემბერში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიმართვა საერთაშორისო თანამეგობრობას, სახელმწიფოს მიტაცებასთან დაკავშირებით: https://idf.ge/en/georgian_civil_society_organization_address_to_the_international_community

მსოფლიო ბანკის კორუფციის კონტროლის მაჩვენებელი ასევე გაუმჯობესდა, 2017 წელს 77/100 მიაღწია (2016 წლის მაჩვენებელი 74 იყო). საჯარო მოხელეების მიერ წარმოდგენილი ქონებრივი დეკლარაციები 2017 წლიდან კონტროლდება (კანონის მოთხოვნით, მთლიანი დეკლარაციების 5% მოწმდება). 2019 წლის პირველ ნახევარში, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სამსახურებრივი დანაშაულების 365 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან მხოლოდ 3.8% გაიხსნა (საქსტატის დანაშაულთა სტატისტიკა).

მაისში, *ნარკომანიასთან ბრძოლის* უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია, რომელიც ეროვნული მონიტორინგის ცენტრის შექმნას ითვალისწინებს. საკანონმდებლო პაკეტი ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისთვის ჯერ კიდევ პარლამენტში არის განსახილველი.

2 აგვისტოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად გამოცხადა ადმინისტრაციული პატიმრობა და თავისუფლების აღკვეთა იმ ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობით დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის, რომელიც არ იწვევს სწრაფ დამოკიდებულებას ან / და აგრესიულ ქცევას, იმ საფუძველზე, რომ ასეთი საქმიანობა საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას საფრთხეს არ უქმნის.

მიგრაციის სფეროში საქართველო აგრძელებდა მიგრაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებას და დაიწყო მსჯელობა 2020 წლის შემდგომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ. საქართველომ დაასრულა სამიგრაციო პროფილების მომზადება 2019 წლისთვის და ასევე წინ წაიწია მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის დანერგვაში, რომელიც ნაწილობრივ ფუნქციონირებს.

უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 2017 წლის მარტიდან მოქმედებს. სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის ფარგლებში პირველ და მეორე ანგარიშებში მითითებულია თავშესაფრის მიღებასთან დაკავშირებული განაცხადების მუდმივი ზრდა. 2019 წელს საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის უსაფუძვლო მოთხოვნების რაოდენობა ევროკავშირის / შენგენის ქვეყნებში გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში ეს ტენდენცია შემცირდა, თავშესაფრის მოთხოვნის მთლიანი რაოდენობა უფრო მეტი იყო, ვიდრე 2018 წელს და საქართველოს მოქალაქეების რიცხვი ევროკავშირში საერთაშორისო დაცვის მომთხოვნი სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს შორის ერთ-ერთი წამყვანი იყო. საქართველო განაგრძობს თავშესაფრის მოთხოვნათა გაზრდილ რაოდენობასთან დაკავშირებული გამოწვევის პროაქტიულად გადაჭრას. ამის გათვალისწინებით, ევროკომისია, იუსტიციის და შინაგან საქმეთა უწყებები, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და საქართველოს ხელისუფლება ოპერატიული ქმედებების კომპლექსის შემოღებაზე ერთად მუშაობენ სავიზო რეჟიმის შეჩერების მექანიზმის

ფარგლებში ანგარიშების რეკომენდაციების შესაბამისად. ეს ქმედებები მიზნად ისახავს იმ გამოწვევების შემცირებას, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებულ არალეგალურ მიგრაციასა და დანაშაულებს ეხება. აპრილში საქართველომ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რაც საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ უკანონო ყოფნის ხელშეწყობისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

საქართველო აგრძელებდა **საზღვრის მართვის** გაუმჯობესების ძალისხმევას და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოსთან თანამშრომლობას აღრმავებდა. არალეგალური მიგრაციის პრობლემის მოსაგვარებლად და გამგზავრების წინა შემოწმების გასაუმჯობესებლად 2019 წლის დასაწყისში აეროპორტებში ერთობლივი კოორდინირებული ინიციატივა (Joint Operation Coordination Points 2019 Air და Joint Operation Focal Points 2019 Air) ამოქმედდა. კიდევ უფრო გაფართოვდა სასაზღვრო პოლიციის უსაფრთხოების და სამეთვალყურეო ინფრასტრუქტურა. სასწავლო დაწესებულებების (შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს აკადემიების) შესაძლებლობები გაძლიერდა და სასწავლო პროგრამები განახლდა. საზღვრის მართვის პერსონალის შესაძლებლობები კიდევ უფრო გაძლიერდა.

საპოლიციო რეფორმა გაგრძელდა 2019 წლის დასაწყისში შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დასახული პრიორიტეტების შესაბამისად, მათ შორის: პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის როლების, ისევე როგორც სხვადასხვა პოლიციელების ოპერატიული და საგამომძიებო ფუნქციების გამიჯვნა, ანალიზზე დაფუძნებული და საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის გაფართოება, ცენტრალიზებული ანალიტიკური მუშაობის გაძლიერება, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და უფრო მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა.

მონაცემთა დაცვის უწყებისადმი საჩივრების რაოდენობის ზრდა **მონაცემთა დაცვის** საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოების უკეთეს ინფორმირებაზე მიუთითებს. მათში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექცია ახალ უწყებად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურად გარდაიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ფარული საგამომძიებო მოქმედებების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ისინი ძირითადად სასამართლო განჩინების საფუძველზე ხორციელდება.

3. ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები

3.1. ეკონომიკური განვითარება

მაკროეკონომიკური პერსპექტივა სტაბილური რჩებოდა დადებითი რისკების შემცველობით. 2019 წლის პირველი ათი თვის განმავლობაში ეკონომიკის ზრდის

ტემპი შარშანდელთან შედარებით 5%-ს აღემატებოდა, მაგრამ იგი კვლავ მოწყვლადი რჩება გარეგანი მოვლენებით განპირობებული ზეგამვლენი ეფექტების მიმართ, როგორც არის გლობალურ ვაჭრობაში მზარდი დამაბულობა, ძირითადი სავაჭრო პარტნიორების (მაგალითად, თურქეთის) ეკონომიკური მაჩვენებლები და ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა.

ინფლაცია თანდათანობით გაიზარდა 7% -მდე 2019 წლის ნოემბერში (3%-იან სამიზნეზე მაჩვენებელზე მეტად). უფრო მაღალი ინფლაციისა და ინფლაციური მოლოდინების გამო, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) რეფინანსირების განაკვეთი აგვისტოში 6.5%-დან დეკემბერში 9%-მდე გაზარდა. 2019 წლის პირველ ნახევარში ქართულმა ლარმა გაუფასურება განიცადა და წლის მეორე ნახევარში კვლავ არასტაბილური დარჩა; მთლიანობაში მან ევროსთან მიმართებაში ღირებულების 5% და აშშ დოლართან მიმართებაში 9% დაკარგა. გაცვლითი კურსის ეს არამდგრადობა მაღალი დოლარიზაციის მქონე ეკონომიკის პირობებში (დეპოზიტების 62% და სესხების 56% უცხოური ვალუტის ნომინალში არის გამოხატული) და ასევე საგარეო ვალი (მშპ-ს 109%) საქართველოს ფინანსურ სექტორს გაცვლითი კურსის რისკის მიმართ დაუცველს ხდის.

ხელისუფლება ცდილობს ფისკალური დეფიციტის მშპ-ს 2.6%-მდე შემცირებას (2019 წელს 2.9% -დან), იმ მოლოდინით, რომ ახალი პრიორიტეტების ასახვად ხარჯების სტრუქტურა შეიცვლება, რაც განათლების რეფორმის განხორციელებას და კაპიტალის ხარჯვის ზრდას მოიცავს.

საქართველოს საგადამხდელო ბალანსის პოზიცია კვლავ მოწყვლადია, მიმდინარე ანგარიშის შედარებით მაღალი დეფიციტის გამო (მიუხედავად იმისა, რომ იგი მშპ-ის 4.6%-მდე შემცირდა 2019 წლის პირველ ნახევარში) და დიდი საგარეო ვალი. 2019 წლის პირველ ნახევარში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება შემცირდა, მშპ-ს დაახლოებით 6%-მდე, რაც ძირითადად განპირობებულია რამდენიმე დიდი საინვესტიციო პროექტის დასრულებით. წლის განმავლობაში საქართველოს საერთაშორისო რეზერვები ოდნავ გაიზარდა - ნოემბრის ბოლოს 3.3 მილიარდ აშშ დოლარამდე (იმპორტის 4 თვის განმავლობაში), მაგრამ მაინც საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემოთავაზებულ დონეზე უფრო დაბალია.

საქართველოს სტრუქტურული რეფორმის დღის წესრიგი, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამა და ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების პირობები ხელს უწყობს, ბიზნესის გარემოს, განათლებისა და საჯარო ადმინისტრირების გაუმჯობესებაზე და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელებაზე არის ორიენტირებული.

ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარების მეორე ტრანშის (25 მილიონი ევრო 45 მილიონი ევროდან) თანხების გადმორიცხვა დამოკიდებულია შეთანხმებული პოლიტიკური პირობის შესაბამის შესრულებაზე.

საქართველო წარმატებულია საერთაშორისო რეიტინგში **ბიზნეს გარემოსთან** დაკავშირებით, მაგალითად, იგი მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექსის მიხედვით, 6 ადგილზეა მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის. საქართველო მსოფლიოს მოწინავე 10 ქვეყნის რიცხვშია შემდეგი მაჩვენებლებით: ბიზნესის წამოწყება (2); მინორიტარული ინვესტორების დაცვა (2); საკუთრების რეგისტრაცია (4); და ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა (8). მეორეს მხრივ, მას უფრო დაბალი მაჩვენებლები აქვს გადახდისუნაროდ აღიარების პროცედურებთან (60), საზღვრებს შორის ვაჭრობასა (43) და ელექტროენერგიაზე წვდომასთან (39) მიმართებაში. ამავდროულად, გამოწვევები რჩება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასთან, სამართლებრივ დასაბუთებასთან და მიმდინარე გამოძიებებთან დაკავშირებით, რომელიც მსხვილ ბიზნესს მოიცავს.

რაც შეეხება **სოფლის მეურნეობას**, 2015-2020 წლებისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიას და 2017-2020 წლებისთვის საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია ხორციელდება. 2019 წლის 18 დეკემბერს მიღებულ იქნა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ახალი სტრატეგია 2021-2027 წლებისთვის და სამოქმედო გეგმა 2021-2023 წლებისთვის. ივნისში პარლამენტმა მიიღო ახალი ორგანული კანონი სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ, რომელიც, (ახალი კონსტიტუციის შესაბამისად), სხვა საკითხებთან ერთად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრებაში ქონის აკრძალვის გამონაკლისებს არეგულირებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური რეფორმა 2019 წელს დასრულდა, შეიქმნა **სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების** ახალი სააგენტო, რაც განცალკევებული გადამხდელი სააგენტოს შექმნისაკენ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის საგარეო შუალედურმა განხილვამ სამოქმედო გეგმის განხორციელება დადებითად შეაფასა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო სახსრებითა და დონორების მიერ დაფინანსებული პროგრამები საშუალო ზომის მეურნეობებისა და აგრობიზნესების დახმარებას აგრძელებდა. სერტიფიცირების კერძო ორგანოების როლი ისეთ სენსიტიურ სფეროებში, როგორცაა ლაბორატორიები, ფიტოსანიტარული საკითხები და ცხოველების ვაქცინაცია გასარკვევი რჩება.

2018-2021 წლების **რეგიონალური განვითარების** ფართო ამოცანების საფუძველზე, მომზადდა საპილოტე ინტეგრირებული რეგიონალური განვითარების პროგრამა ევროკავშირის სამიზნე რეგიონებისთვის (კახეთი, იმერეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი

და ქვემო სვანეთი). იგი ინვესტიციებისთვის შემდეგ პრიორიტეტებს განსაზღვრავს: 1) ურბანული განახლება - კომპლექსური ქმედებები ქალაქებში; 2) უნიკალური ტურისტული პოტენციალი; 3) მეწარმეობა, ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ინოვაცია; 4) კომპლექსური ადგილობრივი განვითარება; და 5) ეფექტიანი ადგილობრივი ადმინისტრაცია და პარტნიორები განვითარებისათვის (ტექნიკური დახმარება).

ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტი ფუნქციების და ფინანსური რესურსების გადაცემის მიზნით მთავრობამ 2019-2025 წლებისთვის დეცენტრალიზაციის სტრატეგია შეიმუშავა. სტრატეგიის სამივე განზომილება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი კეთილდღეობის გაზრდას, მოქალაქეთა და საზოგადოების ჯგუფების როლის ამაღლებას და საზოგადოებრივი სერვისების მიწოდებას მოსახლეობის მხრიდან მზარდი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შემდეგში მდგომარეობს: ა) ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა; ბ) ფისკალური დეცენტრალიზაცია; და გ) მოქალაქეების მონაწილეობა და გამჭვირვალობა.

რეგიონების განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობით რეგიონების ინოვაციური პოტენციალის გაძლიერების გონივრული სპეციალიზაციის ჩარჩო იქმნება. საპილოტე საქმიანობა იმერეთის რეგიონში დაიწყო.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის რეფორმა 2019 წელს შეზღუდულად ხორციელდებოდა. ყველა სამინისტროში შეიქმნა ფუნქციონალური შიდა აუდიტის სისტემა და ახალი შიდა აუდიტორის სასერთიფიკატო პროგრამა, რომელიც 2020 წლის გაზაფხულზე დაიწყება. სახელმწიფო აუდიტის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების პროექტი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გარე აუდიტს ითვალისწინებს.

საგადასახადო სისტემის მიმართულებით, გრძელდება აქციზურ საქონელთან დაკავშირებულ თაღლითობებთან და კონტრაბანდასთან ბრძოლა, ისევე, როგორც მუშაობა კანონმდებლობის დაახლოებაზე არაპირდაპირი გადასახადების სფეროში (ენერჯო პროდუქტებზე გადასახადის გარდა). შემოდგომაზე, ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ჩამოთვლილ თამბაქოს ყველა პროდუქტზე (სიგარეტის გამოკლებით) აქციზის გადასახადის გაზრდის გრაფიკი.

სტატისტიკის ეროვნულმა სისტემამ სტატისტიკურ სფეროებში ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა გააუმჯობესა, მათ შორის ვალდებულებები ხარისხის, სტატისტიკური კონფიდენციალურობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის, აქტუალურობის, ხელმისაწვდომობის და სიცხადის მიმართულებით. შემუშავებულია რეკომენდაციები მეთოდოლოგიის,

რესურსების ადეკვატურობის, სტატისტიკის ეროვნული სისტემის კოორდინაციისა და დარგობრივი სტატისტიკის სფეროში (მაგალითად, გარემოსთან, ინოვაციებსა და ენერჯისთან დაკავშირებით).

რაც შეეხება *სამრეწველო და სამეწარმეო პოლიტიკას*, მთავრობამ განაგრძო მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგიის განხორციელება. აგვისტოსთვის, "აწარმოე საქართველოში" პროგრამამ¹² 521 ბიზნესს მხარი დაუჭირა, სადაც მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 1,186 მილიარდ ლარზე მეტს შეადგენდა და 18 270-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა. დადგინდა ის პროდუქტები და მომსახურება, რომელთა საშუალებით საქართველო საექსპორტო პოტენციალის უფრო მეტად განვითარებას და ამით ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების სრულად გამოყენებას შეძლებს. შედეგად, მთავრობამ გადაწყვიტა სამი ღირებულების ჯაჭვის უფრო სიღრმისეულად შესწავლა და ტანსაცმლის, ავეჯისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპორტის წახალისების სამოქმედო გეგმები შეიმუშავა. იგი ასევე საკრედიტო გარანტიის სქემის შექმნისა და ალტერნატიული დაფინანსების ინსტრუმენტების განვითარების მიმართულებით მუშაობდა. მარტიდან, მარეგულირებელი ზეგავლენის შეფასებები სავალდებულო გახდა ბიზნესთან დაკავშირებული ყველა ახალი კანონმდებლობისთვის და იქმნება მეთოდოლოგია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მარეგულირებელი ზეგავლენის შემფასებელი ტესტებისთვის.

რაც შეეხება *მეთევზეობას და აკვაკულტურას*, საქართველომ ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალური კომისიის (GFCM) სრული წევრობა ითხოვა, რათა განაახლოს 2015 წლიდან არსებული "არაწევრი პარტნიორი ქვეყნის" სტატუსი. საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სოფიას დეკლარაციის ფარგლებში. იგი ასევე აგრძელებს მონაწილეობას შავი ზღვის ერთობლივი კონტროლისა და შემოწმების გეგმაში და ჩართულია გენერალური კომისიის BlackSea4Fish პროექტში. საქართველო ევროკავშირთან შავი ზღვის ტრადიციული თევზის მარაგების რეგიონალური მართვის ზომების გადასინჯვის მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობს.

საქართველო ასევე აქტიურად მუშაობდა *უკანონო, არადეკლარირებული და დაურეგულირებელი (IUU)* თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრაზე. ქვეყნის ძალისხმევით დაინერგა გემების სატელიტური ელექტრონული მონიტორინგის სისტემა (VMS) და გემების ავტომატური იდენტიფიცირების სისტემა (AIS), რომელიც ამჟამად საპილოტე რეჟიმში მუშაობს.

¹² წყარო: საქართველოს წარმოება

საზღვაო სექტორის თვალსაზრისით საქართველომ შეასრულა ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების და რეგულაციების უმეტესი ნაწილი. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო ამჟამად კიდევ ორი დირექტივის ამოქმედებაზე მუშაობს. შემუშავებულია საზღვაო ტრანსპორტის სტრატეგია და ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების შესაბამისად საზღვაო უსაფრთხოების კანონთა კრებულის (acquis) ჰარმონიზაცია გრძელდება. 2019 წლის მაისში საქართველომ მინისტრთა დონეზე დაამტკიცა შავი ზღვის საერთო საზღვაო დღის წესრიგი - ზღვის აუზის ინიციატივა მდგრადი ლურჯი ეკონომიკისთვის.

ტურიზმი საქართველოში მზარდი და სულ უფრო მნიშვნელოვანი დარგია, რომელმაც 2019 წლის პირველ ორ კვარტალში მშპ-ს 7.7% შეადგინა. მეორე კვარტალში რეკორდული 1 896 104 საერთაშორისო ვიზიტორის ჩამოსვლა დაფიქსირდა, რაც 2018 წლის¹³ მეორე კვარტალთან შედარებით 13% -იანი ზრდაა. 2019 წლის მესამე კვარტალში ასევე დაფიქსირდა ტურისტების რეკორდული რიცხვი (2 753 207), მაგრამ 2018 წლის მესამე კვარტალთან შედარებით ზრდა 4%-მდე შენედა, რაც ძირითადად რუსეთის მიერ ივლისიდან ტურიზმზე დაწესებული შეზღუდვების შედეგს წარმოადგენდა.

კორპორაციული სამართლის მიმართულებით კორპორატიული ურთიერთობების დასარეგულირებლად და ასევე ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად ევროკავშირის დირექტივებთან კანონმდებლობის დასაახლოებლად სრულიად ახალი კანონპროექტი შემუშავდა.

ფინანსური მომსახურების კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო და არასაბანკო სისტემების, გადახდების, კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების და ზედამხედველობის ჩარჩოებს პასუხისმგებელი დაკრედიტების ჩარჩოს შემუშავების, მომხმარებელთა დაცვის და ფინანსური განათლების გაუმჯობესების საშუალებით აძლიერებს.

სებ-მა დე-დოლარიზაციის ღონისძიებების განხორციელება და ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება განაგრძო. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა მესამე პირისადმი ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევასთან დაკავშირებული კანონმდებლობა გააუმჯობესა.

საქართველოს თანდათანობით **ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტორული საქმიანობა** ევროკავშირისა და საერთაშორისო პრაქტიკებთან შესაბამისობაში მოჰყავს, რათა საინვესტიციო კლიმატი და ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობა გააუმჯობესოს. 2019 წელს "ბუღალტრული აღრიცხვის,

¹³ წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" კანონის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები სავალდებულო გახდა ყველა სახის და ზომის კომპანიისთვის (გარდა არაკომერციულისა).

რაც შეეხება **დასაქმებას**, უმუშევრობა კვლავ მაღალია, 11,1% (მე-2 კვარტალი). თვითდასაქმებული ადამიანების 40%-ზე მეტი ნატურალურ მეურნეობას ეწევა და უმუშევრობა (რეგიონულ დიდ უთანასწორობასა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი უნარების არქონის პირობებში) მთავარ გამოწვევად რჩება. უმუშევრობა კვლავ უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. ოქტომბერში დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო შეიქმნა და დასაქმების სერვისები სოციალური მომსახურებისგან განაცალკევა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2019-2023 წლებისთვის შრომის ბაზრის ახალი სტრატეგია შეიმუშავა. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისია პლენარული შეხვედრის, ასევე სამუშაო ჯგუფის ფორმატში იკრიბება.

სექტემბერში ძალაში შევიდა კანონი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომელმაც შრომის ინსპექციას ყველა სექტორში მოულოდნელი შემოწმებებისა და ჯარიმების დაკისრების საშუალება მისცა. თუმცა, ინსპექციის მანდატი უცვლელია და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიღმა სამუშაო პირობების საკითხს არ მოიცავს. 2019 წლის განმავლობაში საშიში სამუშაო პირობების და ცუდი სოციალური დაცვის წინააღმდეგ პროტესტის ახალი ტალღა აგორდა.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო **საზოგადოებრივი ჯანდაცვის** ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობს. მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის მიმართებაში, მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ჯანდაცვის სისტემაში უთანასწორობის შესამცირებლად. 2018 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1 000 მშობიარობაზე 27.4 იყო. 2018 წელს შიდსით 55 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2019 წლის პირველ 6 თვეში - 30. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად საქართველო ასევე სისხლის უსაფრთხოების, ქსოვილის გადანერგვისა და ჯანსაღი გარემოს საკითხებზე მუშაობს.

3.2. ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები

2019 წლის პირველ ათ თვეში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 1.3 მილიარდი ევრო შეადგინა, რაც 4%-ით ნაკლებია 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში კვლავ სტაბილურია, 1,7 მილიარდი ევრო (0.7%-ით ნაკლებია 2018 წლის პირველ ათ თვესთან შედარებით), ხოლო ევროკავშირის იმპორტი საქართველოდან 15%-ით, 475 მილიონ ევრომდე შემცირდა.

ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებთან დაკავშირებით, საქართველო ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, შემდეგ სფეროებში განაგრძობს: **სტანდარტები და მეტროლოგია**, სადაც მცირე მოცულობების ლაბორატორიამ გაიარა საექსპერტო შეფასება რეფერენს ლაბორატორიად საერთაშორისო აღიარების მისაღებად; **აკრედიტაცია**, სადაც საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი ჰარმონიზებული 'ახალი და გლობალური მიდგომის' დირექტივებთან შესაბამისობის შესაფასებლად ემზადება (მაგალითად, ფეთქებადი ნივთიერებები სამოქალაქო გამოყენებისთვის, სამედიცინო აპარატურა, აირისებრ საწვავზე მომუშავე მოწყობილობები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები); და **ბაზრის ზედამხედველობა**, სადაც ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ბაზრის ზედამხედველობის სერვისებს სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქციის ასორტიმენტისთვის, განსაკუთრებით კი სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფს.

სურსათის უვნებლობისა და სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების მხრივ, 2010 წლიდან საქართველო მუშაობს, რომ 2027 წლისთვის მოახდინოს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის 272 იურიდიულ ინსტრუმენტთან დაახლოვება და მათი დანერგვა. დღეისათვის, ინსტიტუციური და პოლიტიკის შემუშავების პროცესის საფუძველზე, 2017-2019 წლების სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების და სარეფორმო გეგმის შესაბამისად, მან 101 ვეტერინარულ, ფიტოსანიტარულ და სურსათის უვნებლობის რეგულაციასთან დაახლოვება შეასრულა. სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების დანერგვა კვლავ წარმოადგენს გამოწვევას ფერმერებისთვის და კვების ბიზნეს-ოპერატორებისთვის.

2019 წელს, საქართველომ შეიმუშავა ეროვნული ფიტოსანიტარული სტრატეგია (მცენარეთა დაცვაზე ყურადღების გამახვილებით), რომელიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჯერ ოფიციალურად არ დაუმტკიცებია და სურსათის უვნებლობის ეროვნული სტრატეგია, რომელიც სავარაუდოდ 2020 წლის გაზაფხულზე დამტკიცდება. ეს შეავსებს 2016-2020 წლებისთვის გაწერილ, უკვე მოქმედ ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნულ პროგრამას.

სექტემბერში ძალაში შევიდა ახალი **საბაჟო კოდექსი**, რომელსაც სამი ძირითადი პრინციპი გააჩნია: თანამედროვე საბაჟო ინფრასტრუქტურა, მარტივი და სამართლიანი პროცედურები და ციფრული საბაჟო, ე.ი. ბიზნესისთვის ყველა საბაჟო მომსახურების ელექტრონული უზრუნველყოფა. 1 მაისს მთავრობამ შექმნა **ვაჭრობის ხელშეწყობის** ეროვნული კომიტეტი, რომელიც ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის სისტემის დანერგვას აკონტროლებს. რაც შეეხება **წარმოშობის წესებს**, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა წარმოშობის დამადასტურებელი მტკიცებულებების სანდოობასა და მიგნებასთან

დაკავშირებით, რათა პროდუქციისთვის შეღავათიანი რეჟიმით სარგებლობა შესაძლებელი გახდეს.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა პროგრესს მიაღწია ტრანზიტის საერთო პროცედურის შესახებ ევროკავშირის კონვენციასთან მიერთებასა და ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის ამოქმედებაში. საქმიანობა მოიცავდა სატრანზიტო პროცედურების შემუშავებას, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამომავლო დიზაინის მოთხოვნების განსაზღვრას და სასწავლო პროგრამებისა და მოდულების შემუშავებასა და განხორციელებას.

საქართველომ გააგრძელა ძალისხმევა *ციფრული ეკონომიკისა და საზოგადოების* სფეროში, ეკონომიკური და ბიზნეს შესაძლებლობების ხელშესაწყობად, ციფრული კომპეტენციების გასაძლიერებლად და ელექტრონული ვაჭრობის გასანვითარებლად. ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია ასევე მიზნად ისახავს სოფელსა და ქალაქს შორის ციფრული ინფრასტრუქტურის განსხვავების შემცირებას. სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში "საქართველო 2020", ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტულია. ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი კანონპროექტები ელექტრონული კომერცის და ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ კონსულტაციის პროცესშია.

საქართველომ განაგრძობს *კონკურენციის* შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების დებულებების განხორციელებას, რა დროსაც ყურადღება ეთმობა კონკურენციის შესახებ კანონის ცვლილებებს, რათა გაიზარდოს კონკურენციის სააგენტოს საგამომიებო უფლებამოსილება, მიღებულ იქნას ანტიმონოპოლური პროცედურები და ორფაზიანი შერწყმის პროცედურა დაინერგოს. გარდა ამისა, ეს ცვლილებები მიზნად ისახავს რეგულირებულ დარგებში (საკომუნიკაციო, ენერგეტიკისა და ფინანსების) და მრეწველობის სხვა დარგებში კონკურენციის შესახებ კანონის გამოყენებას, და გამოძიებათა ეფექტიანობის გასაზრდელად სტრუქტურული ცვლილებების შეტანას. მიმდინარეობს საქართველოს კონკურენციის სააგენტოს შესაძლებლობათა შემდგომი გაძლიერება. სააგენტოს უფლებამოსილებაში ამჟამად მომხმარებელთა უფლებების დაცვაც შედის.

რაც შეეხება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების *გამჭვირვალობას*, ადგილობრივი მეწარმეებისთვის და მედიის წარმომადგენლებისათვის სავაჭრო საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო ჯგუფის ფორმატში ბევრი მრგვალი მაგიდა ჩატარდა. მხარეებმა გარემოს, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და შრომის დაცვის მიმართებაში შესაბამისი ღონისძიებები განსაზღვრეს.

საქართველო აგრძელებს *სახელმწიფო შესყიდვების* სფეროში კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) ჰარმონიზაციას. მომზადდა ცვლილებები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი დავების მოგვარების საბჭოს შესაქმნელად, სადაც ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს სატენდერო პროცედურების გასაჩივრების უფლება ექნება. მოსალოდნელია, რომ ცვლილებების საშუალებით მაკონტროლებელ ორგანოს პირდაპირი შესყიდვების შესაფასებლად საკმარისი უფლებამოსილება მიენიჭება.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და აღსრულების სისტემის მხრივ, საქართველომ წარმატებით განავითარა რეფორმები, რათა ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონები ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი ყოფილიყო. მოსალოდნელია, რომ შემდგომი ცვლილებები ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონებში და განსაკუთრებით კანონში სასაქონლო ნიშნების შესახებ ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების ოფისთან თანამშრომლობით განხორციელდება. სასაქონლო ნიშნებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ამოწურვის ეროვნული რეჟიმი შეთანხმების დებულებებს ამჟამად არ შეესაბამება.

4. ტრანსპორტი, ენერგოეფექტურობა, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებები, გარემოს დაცვა და სამოქალაქო დაცვა

2019 წლის იანვარში ევროკომისიამ გამოაქვეყნა ინდიკატური ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) საინვესტიციო სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმად, საქართველოში იდენტიფიცირებულია 3.4 მილიარდი ევროს ჯამური ღირებულების 18 პრიორიტეტული პროექტი. ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ძირითადი ქსელის გაფართოვება საქართველოში ოფიციალურად 2019 წლის მარტში გადაწყდა.

რაც შეეხება *გარემოს დაცვას*, მთავრობამ თებერვალში მიიღო და პარლამენტს გაუგზავნა ახალი ტყის კოდექსი. პარლამენტმა იგი პირველი მოსმენით 18 ოქტომბერს მიიღო. ნარჩენების მართვის კოდექსმა წარმოადგინა სპეციფიური ნარჩენების ნაკადებთან დაკავშირებული მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულებების კონცეფცია, რომლის ამოქმედება დეკემბრიდან არის მოსალოდნელი. ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი პირველი ნაგავსაყრელის მშენებლობა იმერეთის რეგიონში ადგილობრივი დემონსტრაციების გამო გადაიდო. პოლითილენის პარკების წარმოება, გამოყენება და იმპორტი 1 აპრილიდან აიკრძალა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის პორტალი იანვრიდან ფუნქციონირებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განაგრძო *ენერგეტიკის* დარგთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება. ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი ენერგორესურსებთან დაკავშირებული კანონთა კრებულის (acquis) შესრულების დადგენილი ვადები არ იყო დაცული. ენერგეტიკული თანამეგობრობის სამდივნოს 2019 წლის ნოემბრის შეფასებით ენერგორესურსებთან დაკავშირებული საქართველოს მიერ ევროკავშირის კანონთა კრებულის (acquis) მთლიანი შესრულება 25%-ს¹⁴ შეადგენს. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ კანონი და განახლებადი ენერჯის წყაროებიდან ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ კანონი პარლამენტმა 2019 წლის 13 დეკემბერს მიიღო.

მთავრობა ყურადღებას ამახვილებს ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მხარდაჭერასა და ელექტროენერჯის გადამცემი ქსელის გაფართოებაზე იმისთვის, რომ მიწოდების უსაფრთხოება გაუმჯობესდეს და ელექტროენერჯის გაცვლასა და ექსპორტირებას ხელი შეეწყოს.

რაც შეეხება *სამოქალაქო დაცვას*, საქართველო აგრძელებს ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობის ძალისხმევას. 2019 წლის 1 იანვრიდან საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური საკუთარი ბიუჯეტით, რესურსებითა და კადრების სისტემით, როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში დაბრუნდა.

5. მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შრომითი მიგრაციის საკითხებზე სამუშაოდ სპეციალური განყოფილება შექმნა. საქართველომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან „*მობილურობა პარტნიორობისათვის*“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ორმხრივი კონსულტაციები განაგრძო.

მარტში მთავრობამ გამოაცხადა ახალი *საგანმანათლებლო* პროგრამა, რომლის სახელმწიფო დაფინანსება 2022 წლისთვის მშპ-ს 6% -მდე გაიზარდა. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო დაფინანსება წლის განმავლობაში 14%-ით გაიზარდა (2.8% მშპ-ს მიაღწია, რაც 2018 წელთან შედარებით 0.05%-იანი ზრდა იყო). განათლების რეფორმის ახალი ტალღის გათვალისწინებით გადახედულ იქნა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი

¹⁴ <https://www.energy-community.org/implementation/IR2019.html>

სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის. პროფესიული განათლების და გადამზადების შესახებ ახალი კანონი, რომელიც ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისთვის ცხოვრების მანძილზე სწავლის ფართო შესაძლებლობებს ქმნის, აპრილში იყო მიღებული. ასევე შეინიშნება წინსვლა საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრი გახდა და ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის რეესტრში შევიდა. საქართველო აგრძელებს წარმატებულ მონაწილეობას ერაზმუს+ პროგრამაში, როგორც უმაღლესი განათლების, ასევე ახალგაზრდულ სფეროებში. საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამის სტიპენდიების მიხედვით იგი ერთ – ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა და 141 მონაწილე ქვეყანადან მე-6 ადგილი უკავია. სექტემბერში თბილისში ოფიციალურად დაიწყო ევროპული სკოლის მეორე ფაზა (სრულმასშტაბიანი საშუალო სკოლა), რომლის მიზანია აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონიდან მოსწავლეთა გაერთიანება და მათთვის მულტიკულტურალიზმის, მშვიდობისა და ტოლერანტობის ევროპული და საერთაშორისო ფასეულობებით შთაგონებული უნიკალური სასწავლო გეგმის შეთავაზება.

კულტურის სფეროში, აპრილში საქართველომ დაიწყო მასშტაბური კამპანია (საქართველო, ევროპა), რომლის მიზანია ევროკავშირის შესახებ საქართველოში და საქართველოს შესახებ ევროკავშირში ცნობიერების ამაღლება. საქართველო საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით მოწვეულია ფესტივალ „ევროპალიასა“ და პარიზის წიგნის ბაზრობაზე 2021 წელს და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად ემზადება.

საქართველო განაგრძობს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად თავისი ვალდებულებების შესრულებას და ახდენს კანონმდებლობის ჰარმონიზებას, რათა მიაღწიოს სრულ შესაბამისობას ევროკავშირის დირექტივასთან **აუდიოვიზუალური მედია სერვისების** შესახებ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მედიასთან დაკავშირებული ცოდნის ამაღლების, განვითარების და მონიტორინგის ფუნქცია დაეკისრა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია ასრულებს კანონმდებლობის მოთხოვნებს, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის უახლეს დირექტივას რადიოაპარატურასთან¹⁵ დაკავშირებით.

¹⁵ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 16 აპრილის დირექტივა 2014/53/EU, წევრი სახელმწიფოების კანონების ჰარმონიზაციის შესახებ, რომელიც ეხება რადიოაპარატურის ბაზარზე წვდომას და 1999/5 / EC დირექტივის გაუქმებას (OJ L 153, 22.5.2014, გვ. 62).

როგორც სტრუქტურული რეფორმების გეგმის ნაწილი, მთავრობამ გააუქმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს **ახალგაზრდობის** პოლიტიკის მართვის დეპარტამენტი და საჯარო სამართლის ორი იურიდიული პირი (სსიპ) - ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი. სანაცვლოდ, აგვისტოში პრემიერ მინისტრის აპარატის დაქვემდებარებაში ახალი სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტო დაფუძნდა. სააგენტომ ახალგაზრდობასთან დაკავშირებული პორტფოლიო გადმოიბარა და ახალგაზრდობისთვის პროგრამებისა და ღონისძიებების ორგანიზებასა და განხორციელებაზე არის პასუხისმგებელი.

კვლევისა და ინოვაციების სფეროში თანამშრომლობის კუთხით საქართველომ პროგრამა „ჰორიზონტი 2020“-ის პოლიტიკის ხელშეწყობის ინსტრუმენტის რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო. ეს რეკომენდაციები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს: კვლევის პერსპექტიული სფეროების განსაზღვრა / პრიორიტეტების დადგენა; სამეცნიერო და ბიზნეს წრეებს შორის კავშირების ხელშეწყობა; ინსტიტუციონალურ დონეზე თანამშრომლობის შესაძლებლობების გაღრმავება; და კვლევითი ორგანიზაციების შესრულებულ სამუშაოზე დაფუძნებული დაფინანსების ხელშეწყობა.

საქართველომ გადადგა ნაბიჯები სამეცნიერო სექტორის საერთაშორისო ჩართულობის მხრივ და სექტემბერში ევროკავშირის კვლევებისა და ინოვაციების სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია EURAXESS-ის წევრი გახდა. ეს ევროპაში მიმდინარე კვლევებში საქართველოს ინტეგრაციას ხელს შეუწყობს.

6. ფინანსური მხარდაჭერა

ასოცირების შესახებ შეთანხმების და საქართველოს მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად, ცალკეული ქვეყნებისთვის დახმარების გაწევის ახალი ჩარჩო-პროგრამა (Single Support Framework) 2017-2020 წლებისათვის ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად სფეროზე: ეკონომიკური განვითარება და ბაზრის შესაძლებლობები; ინსტიტუტების გაძლიერება და კარგი მმართველობა; ტრანსპორტი, ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილება; მობილურობა და ადამიანებს შორის კავშირები.

დაიწყო პროგრამების განხორციელება 2018 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში გამოყოფილი თანხით (134 მილიონი ევრო, მათ შორის 40 მილიონი კომპლექსური პროგრამიდან). ევროკავშირის მხარდაჭერა კვლავ მიმართული იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე, მათ შორის ერაზმუს+ პროგრამაში საქართველოს მონაწილეობის გაზრდაზე, ისევე როგორც ქმედებებზე სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართებაში. ეკონომიკური

მმართველობისა და ფისკალური ანგარიშვალდებულების ახალი პროგრამა საქართველოს სისტემას ევროკავშირის ეკონომიკური მართვის მოდელს მიუახლოვებს, მაშინ როდესაც უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულების და დანაშაულთან ბრძოლის ერთიანი პროგრამა კარგ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და საქართველოს მოქალაქეების უსაფრთხოებას ხელს შეუწყობს.

2019 წლის საქართველოსთვის ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხა (127 მილიონი ევრო, მათ შორის დამატებითი 25 მილიონი კომპლექსური პროგრამიდან) მიმართულია ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაზე; სტრატეგიის მთავარი მიმართულებებია ბავშვთა უფლებების დაცვა, ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლა და დაუცველი / უმცირესობების ჯგუფების წევრების ინკლუზია. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) მეოთხე ფაზის მეშვეობით, ევროკავშირი ხელს შეუწყობს სურსათის უვნებლობის რეგულაციების განხორციელებას (ნაწილობრივ ევროკავშირში ექსპორტის გაზრდის გასაადვილებლად) და სოფლის განვითარების მეტ მხარდაჭერას. "ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის" (EU4IntegratedTerritorialDevelopment) ინიციატივა ხელს შეუწყობს უფრო დაბალანსებულ ტერიტორიულ განვითარებას და საქართველოს რეგიონებში ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის ახალი ცენტრების შექმნას.

საქართველოსთვის გამიზნული მიმდინარე პროგრამები ხელს უწყობს ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, მართლმსაჯულების და საჯარო ადმინისტრირების რეფორმას, პროფესიულ განათლებას, მოთხოვნების შესაბამისი უნარების შექმნას, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებაში პოლიტიკის რეფორმას, რეგიონალურ განვითარებას და ტრანსპორტის, ენერგოეფექტურობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გარდა ამისა, საქართველოზე ვრცელდება რეგიონული პროგრამებიც, რომელთა მიზანია მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის, ფინანსებზე წვდომის, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს გაფართოებისა და განვითარების, ინოვაციების, ციფრული კომპეტენციების, კულტურისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (EU4Business, EU4Energy, EU4Environment, EU4ClimateChange EU4Innovation, EU4Youth, EU4Digital). საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის სასაზღვრო თანამშრომლობის შავი ზღვის პროგრამაში.

ევროკავშირი სამეზობლო საინვესტიციო პლატფორმის ფარგლებში განაგრძობს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ინიციატივების დაფინანსების ხელშეწყობას სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ სექტორში. ამ თვალსაზრისით, შერეული ოპერაციები ხელს უწყობს ენერგოეფექტურობას საჯარო შენობებში და ასევე ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის,

ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის (TEN-T) გასწვრივ საგზაო ტრანსპორტის, მყარი ნარჩენების, წყალმომარაგებისა და სანიტაციის და ადგილობრივი ვალუტის დაკრედიტების საკითხებზე მიმართულ პროექტებს.

საქართველო ასევე სარგებლობს ევროკავშირის მაკრო-ფინანსური დახმარებით. ბოლოდროინდელი მაკრო-ფინანსური დახმარება ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ 2018 წლის აპრილში დამტკიცდა. პირველი ტრანშის - 20 მილიონ ევროს (5 მილიონი ევრო გრანტების და 15 მილიონი ევრო სესხების სახით) თანხების გადმორიცხვა 2018 წლის ბოლოს განხორციელდა. შემდეგი გადმორიცხვა (ბოლო ტრანში 25 მილიონი ევრო) დამოკიდებულია პოლიტიკური წინაპირობის შესრულებაზე, რომელიც მოითხოვს საქართველოსგან გააგრძელოს ეფექტიანი დემოკრატიული მექანიზმების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის დაცვა, შეინარჩუნოს კარგი დოსიე მიმდინარე საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის განხორციელებაში (2021 წლის აპრილამდე ახლახან გაგრძელებული შეთანხმებული 285 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის სამწლიანი პროგრამა) და შეასრულოს ურთიერთგაგების მემორანდუმში გათვალისწინებული კონკრეტული პოლიტიკის პირობები. პოლიტიკის პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეროვნული რეფორმის დღის წესრიგისა და ევროკავშირთან ასოცირების პროცესს, შემდეგ სფეროებს მოიცავს: საჯარო ფინანსების მართვა; ფინანსური სექტორი; სოციალური და შრომის ბაზრის პოლიტიკა და ბიზნეს გარემო.

საქართველოს ხელისუფლებამ და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის სამსახურმა გააძლიერეს თანამშრომლობა ევროკავშირის ფინანსურ ინტერესებზე უარყოფითი ზემოქმედებას მომხდენი თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

7. დასკვნითი შენიშვნები და სამომავლო პერსპექტივა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველო ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების, წამოწყებების და ასევე მისი შესრულების ერთგული იყო. ადამიანის უფლებათა სფეროში ევროკავშირის კანონთა კრებულთან (acquis) და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლა ეფექტიანად გრძელდებოდა.

2020 წელი მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის, რომ გააგრძელოს რეფორმების გატარების მზაობა, რაც გადამწყვეტი იქნება მისი შემდგომი წინსვლისთვის ევროპის გზაზე. დიდი მნიშვნელობა ექნება მზარდი პოლიტიკური პოლარიზაციის გასანეიტრალებლად ამბიციური საარჩევნო რეფორმების გატარებას და სასამართლო რეფორმის განხორციელებას.

რაც შეეხება მომავლს, 2020 წლის შემოდგომაზე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტად მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსთვის

დემოკრატიისადმი ერთგულების დასადასტურებლად. მიმდინარე საარჩევნო რეფორმის ამოცანა უნდა იყოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ შემოთავაზებულ ყველა რეკომენდაციასთან შესაბამისობა. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ყველა მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების პოვნა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არჩევნების წინ თავისუფალი და პლურალისტული მედიისთვის ხელშემწყობი გარემოს არსებობა კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება.

რაც შეეხება სასამართლო რეფორმას, რეფორმების მეოთხე ტალღის განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება 2020 წლის განმავლობაში. საქართველოს მზაობა დაიცვას ეთიკისა და მიუკერძოებლობის უმაღლესი სტანდარტები მართლმსაჯულების სისტემაში კვლავ გადამწყვეტია იმისთვის, რომ მართლმსაჯულება სარგებლობდეს ნდობით, ევროკავშირ-საქართველოს დღის წესრიგის წარმატებითვის. შემდგომში, არსებითია, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იყოს ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია, პროცესი გამჭვირვალედ განხორციელდეს და კანდიდატთა წარდგენა ჭეშმარიტი დამსახურების შესაბამისად წარიმართოს.

რაც შეეხება უვიზო რეჟიმს, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება თავშესაფრის მოთხოვნათა მუდმივი ზრდის საკითხის პროაქტიულად გადაჭრის გაგრძელება ევროკომისიასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

და ბოლოს, სტრუქტურული რეფორმები საჭიროა იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა ნაკლებად მოწყვლადი იყოს საგარეო მოვლენებთან მიმართებაში, გაუმჯობესდეს საინვესტიციო კლიმატი და ვაჭრობის პოტენციალი. კლიმატთან დაკავშირებული გადაუდებელი ღონისძიებების აუცილებლობის გათვალისწინებით, ენერგოეფექტურობის შესახებ კანონების მიღება ძალზე მნიშვნელოვანი იქნება.